# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

# ინვესტორებთან ურთიერთობის სტრატეგია

დეკემბერი, 2023

## შესავალი

ინვესტორებთან ურთიერთობის სტრატეგიის დოკუმენტი მოიცავს ინვესტორებთან ურთიერთობის მთავარ პრინციპებს და ინვესტორებთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს.

მოცემული დოკუმენტი მიზნად ისახავს ინვესტორებთან რეგულარული კომუნიკაციის ჩარჩოს შექმნას, რომლის ფარგლებშიც ერთჯერადი თუ მრავალჯერადი ღონისძიებების მეშვეობით განხორციელდება ინვესტორებისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება მთავრობის ვალის სტრუქტურის, დინამიკის და სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, რაც უზრუნველყოფს ინვესტორების, კრედიტორების, სარეიტინგო სააგენტოების და საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას და თანამშრომლობის გაღრმავებას.

## პრინციპები

ინვესტორებთან ურთიერთობის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, დროულობა, თანმიმდევრულობა და რეგულარული კომუნიკაცია.

**ინფორმაციის ხელმისაწვდომობა** გულისხმობს დაინტერესებულ პირთათვის მთავრობის ვალის მართვის შესახებ ინფორმაციაზე წვდომას შემდეგი საკომუნიკაციო არხებით: ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდი (www.mof.ge), ფინანსტა სამინისტროს გვერდი ბლუმბერგზე (MOFG), ელ. ფოსტა, ვებინარი და ა.შ. აღნიშნული პრინციპი კრიტიკულად მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ეკონომიკური და ფინანსური გადაწყვეტილებების მიმღებთათვის, რადგან ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს სტაბილურობას, ბაზრების ეფექტურ მუშაობას და საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან დაახლოებას.

**დროულობა** გულისხმობს დაინტერესებულ პირთათვის მთავრობის ვალის მართვის შესახებს უახლესი ინფორმაციის მიწოდებას. ინვესტორების მიერ საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისა და დაგეგმვის პროცესში არსებითად მნიშვნელოვანია

უახლესი სტატისტიკური და ანალიტიკური ინფორმაციის მონიტორინგი და ანალიზი.

**თანმიმდევრულობა** გულისხმობს ინვესტორებისთვის მთავრობის ვალის მართვის შესახებ ინფორმაციის მიწოდების და მათთან კომუნიკაციის დროში იმგვარად განაწილებას, რაც უზრუნველყოფს საინვესტიციო გადაწყვეტილებებისა და მთავრობის ვალის მართვის პოლიტიკის ეფექტიან დაგეგმვას.

**რეგულარული კომუნიკაცია** გულისხმობს, როგორც წინასწარ შემუშავებული გრაფიკის შესაბამის, ასევე, არაგეგმიურ, როგორც ვირტუალურ ისე ფიზიკურ შეხვედრებს პირველად დილერებთან და რეზიდენტ და არარეზიდენტ ინვესტორებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს ერთის მხრივ, მთავრობის ვალის მართვის ამოცანების ეფექტიან და დროულ გადაწყვეტას, ხოლო მეორეს მხრივ, მთავრობის ვალის მართვის საკითხებთან დაკავშირებული ინიციატივების ოპტიმალურ ინტეგრირებას ვალის მართვის პოლიტიკაში.

## ანგარიშები მთავრობის ვალის შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ინვესტორებთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით სამინისტროს ვებ-გვერდზე აქვეყნებს მთავრობის ვალის შესახებ შემდეგ ანგარიშებს:

- *მთავრობის ვალის მართვის საშუალოვადიანი სტრატეგია*

  სტრატეგიის დოკუმენტის განახლება ხდება ყოველწლიურად და ასახავს საქართველოს მთავრობის გეგმას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ვალის მართვის ეფექტიანი პოლიტიკის გატარება და ვალის მართვის მიზნების მიღწევა (*https://mof.ge/5231*);
- *მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი*

  დოკუმენტის განახლება ხდება ყოველწლიურად საბიუჯეტო პროცესის პარალელურად და აღწერს მთავრობის ვალის დინამიკას განსხვავებული სცენარების პირობებში (https://mof.ge/5233);

- *სახელმწიფო ვალის შესახებ სტატისტიკური ბიულეტენი*

  დოკუმენტი ქვეყნდება ექვს თვეში ერთხელ და მოიცავს როგორც მთავრობის საშინაო და საგარეო ვალის შესახებ დეტალურ ინფორმაციას, ასევე ინფორმაციას ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან აღებულ სესხზე და სახელმწიფოს მიერ გაცემულ გარანტიებზე (https://mof.ge/4806);

- *სახაზინო ფასიანი ქაღალდების წლიური და კვარტალური კალენდარი*

  კვარტალური კალენდარი ქვეყნდება ყოველი კვარტლის დაწყებამდე 1 კვირით ადრე და მოიცავს ინფორმაციას მომავალი კვარტლის სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონების ძირითადი პარამეტრების შესახებ, ხოლო წლიური კალენდარი მოიცავს, როგორც წლის განმავლობაში განხორციელებული გამოშვებების, დაფარვების და წმინდა ზრდის დინამიკას თვიურ ჭრილში, ასევე, წლის განმავლობაში გამოსაშვები, დასაფარი და წმინდა ზრდის მოცულობების აგრეგირებულ მაჩვენებლებს (https://mof.ge/5607);

- *მთავრობის ვალის ყოველთვიური ანგარიში*

  თვიური ანგარიში მოიცავს ინფორმაციას, როგორც მთავრობის ვალის სტრუქტურისა და დინამიკის შესახებ, ასევე ინფორმაციას მთავრობის ფასიანი ქაღალდების პირველადი და მეორადი ბაზრის შესახებ (https://mof.ge/5591). აღსანიშნავია, რომ ანგარიშის ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებასთან ერთად ხდება მისი ინვესტორებთან გაგზავნა;

- *სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელი*

  დოკუმენტის განახლება ხდება ყოველი კვირის ბოლო სამუშაო დღეს და ასახავს ინფორმაციას სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელში არსებული ფასიანი ქაღალდების მაჩვენებლების შესახებ (https://mof.ge/5619);

- *ანონსი და პრეს რელიზი სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონების ჩატარების შესახებ*

  ანონსი ქვეყნდება აუქციონის ჩატარებამდე მინიმუმ 5 კალენდარული დღით ადრე და მოიცავს ინფორმაციას მომავალი აუქციონის ძირითადი პარამეტრების

შესახებ, ხოლო პრეს რელიზი ქვეყნდება აუქციონის დღეს და მოიცავს ინფორმაციას აუქციონის შედეგების შესახებ.

საქართველოს ფინანსთა სამინიტრო ინვესტორებთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით გეგმავს:

- ვებ გვერდის განახლებას და ახალი ფუნქციონალის დამატებას:
    - გამოწერის ფუნქცია, რათა ინვესტორებმა ავტომატურ რეჟიმში მიიღონ უახლესი ინფორმაცია/ანგარიში;
    - სახაზინო ფასიანი ქაღალდების ფასის კალკულატორი;
    - კალენდარი მოსალოდნელი აუქციონების, ვებინარების, როუდ-შოუების და სხვა დაგეგმილი ღონისძიებების მითითებით;
    - აუქციონებზე დაფიქსირებული პროცენტების ამსახველი შემოსავლიანობის მრუდი;
- ვალის მართვის შესახებ ახალი ანგარიშების შემუშავებას და გამოქვეყნებას:
    - ვალის მართვის შესახებ წლიური ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდება შემდეგი კალენდარული წლის პირველ კვარტალში და მოიცავს როგორც გასული წლის განმავლობაში მთავრობის ვალის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების მიმოხილვას, ასევე მომდევნო წლის დაფინანსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციას და საორიენტაციო ემისიის კალენდარს;
    - ყოველკვარტალური ანგარიში მთავრობის ვალის შესახებ, რომელიც მოიცავს როგორც მიმოხილვას გლობალური ვალის შესახებ და რეგიონის ქვეყნების ვალის მართვაში განხორციელებულ ღონისძიებებს, ასევე, ანალიტიკურ ინფორმაციას საქართველოს მთავრობის ვალის შესახებ.